


მერი პოპინსი

A - დან Z - მდე





პ. ლ. ტრევერსი
მერი პოპინსი A-Z-ზდა

P. L. Travers
MARY POPPINS FROM A TO Z

ინგლისურიდან თარგმნა ია ქოროშინაძემ

ილუსტრატორი მერი შეპარდი

© 1962 and renewed 1990 by P. L. Travers
Illustrations © by Mary Shepard
Hand-tinted Illustrations copyright © 2006 by Harcourt, Inc.
All rights reserved.

წიგნი გამოიცა გამომცემლობა „პალიტრა L-თან“ თანამშრომლობით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-701-5

www.diogene.ge

Յ. Ա. ՖԻԶԵՐՍՈ

Ձեր Հովհաննել

A - Զ Ա Բ Z - Յ Ո Վ



ეს ჩნბანი ბენქსების ოჯახზე მოგვითხრობს. ისინი ალუბლების ტუჩაზე ცხოვრობენ – დიდსა და მშვენიერ ქუჩაზე, რომლის ყველა მცხოვრებიც ინქსების ხუთივე შვილს შესანიშნავად იცნობს.

ჯეინი და მაიკლი უფროსები არიან, ტყუპები – ჯონი და ბარბარა კი – შუათანაბები. ნაბეჭდილარას ანაბელი ჰქვია.

მისიზ ბრილი მათ მარტივ და გემრიელ კერძებს უმზადებს. მოახლე ელენს გამუჩებით თივის ციება სტან-ჯავს. რობერტსონ ეის სახლსა და ბარიზე ზრუნვა ევალება, თუმცა მუკა აითი შრომისკენ გული არ მიუნევს.

ქუჩის კუთხეში ადმირალი ბუმი ცხოვრობს. მეტად შთამბეჭდავი სახლი აქვს – გემის ტორმის. ადმირალს სიმღერა და ბავშვებთან გართობა უყვარს.

იქვე უმშვენიერესი სანალი დგას, სადაც გულკეთილი მის ლარკი ორ ძალლთან ერთად ცხოვრობს.

ჩვიდმეტ წომერ სახლში კი მერი პოპინსი დასახლდა. წარმოუდგენელი ამბავი მოხდა, როცა აღმოსავლეთის ქარმა ის ბენქსების ოჯახში მოაფრინა – ფარდაგის ჩან-

თითა და იმ **ძ**ოლგით ხელში, რომლის **ტ**არსაც თუთი-
ყუშის თავი ამშვენებს. მერი პო**პ**ინსმა ალუბლების ქუჩის
ცხოვრება სრულიად შეცვალა. ღირსეული და პატივსაცე-
მი ქალბატონი **კუ**, მაგრამ როცა პას **უ**ხისმგებლობას სა-
კუთარ თავზე იღებს, მუდამ უცნაურზე უცნაური ამბები
ხდება. ბავშვებმა იციან, რომ მერი პოპინ**ს** ქვეყნად ბა-
დალი არ ჰყავს და **ძ**ალიან უნდათ, მათთან სამუდამოდ
დარჩეს.

– მანამდე დავრჩები, ვიდრე ქარი მიმართულებას არ
შეიცვლის, თუმცა ზუსტ თარიღს ვერ დაგისახ**ი**ლებთ, –
ეუბნება ბა**პ**შვებს. – ახლა კი თმა დაივარცხნეთ, ფეხსაც-
მლის ზონრები შეიკარით, სათამაშოები თავ-თავის ადგი-
ლას დააბრუნეთ და მურა დათვებივით ნუ მოიქცევით.
ნება მომეცით, შე**გ**ახსენოთ, რომ ეს ბავ**უ**ვების ოთახია
და არა – **ზო**ოოპარკის გალია!

ინგლისურ ენაში ასო **A**-ზე Annabel, ანუ პატარა ანაბელ ბენქსის სახელი იწყება. აი, ისიც! მერი პოპინსა ანაბელი ხელში აუყვანია და ასეირნებს.

მის ლარკის ძალლი, ენდრიუ, მას ცოტა მარანტის ორცხობილას სთხოვს, მოზრდილ ლუკმას კი იღებს – რა-ლა თქმა უნდა, პატრონის სურვილის საწინააღმდეგოდ.

– აღარც ერთი ნამცეცი! – ამბობს მის ლარკი. – ენ-დრიუ, მადა დაგეკარგება, სადილად კი სატაცური გაქვს.

ენდრიუ აღელვებული და, ცოტა არ იყოს, გულმოსულია. სატაცური მართლაც შესანიშნავია, მაგრამ მას მაინც ნუში, ანტილოპის კატლეტები და ვაშლის ღვეზელი ურჩევნია.

მის ლარკი ვერაფერსაც ვერ ამჩნევს.

– მერი პოპინს, სიმართლე გითხრათ, ჩვენ რობერტსონ ეის ვეძებთ, – ამბობს ის. – მინდა ვთხოვო, ბალში ჭიანჭველები მომასპობინოს.

– რობერტსონ ეი სხვენშია, სავარძელში ზის და სძინავს, – პასუხობს მერი პოპინსი.

– სძინავს? შუადღით? რა უცნაურია! – გაოცებას ვერ მალავს მის ლარკი. როგორც ჩანს, არ იცის, რომ რობერტსონ ეი საქმეს მუდამ სიამოვნებით არიდებს თავს, დაძინებით კი ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ ვითარებაში იძინებს.



ასო **B**-ზე ადმირალ ბუმის გვარი – Boom იწყება. ის მისტერ ბენქსის საუკეთესო მეგობარია. ადმირალის სახლს გემის ფორმა აქვს, ლურჯ პალტოს კი თითბრის ღილები ამშვენებს.

მსახურად ყოფილი მეკობრე ჰყავს, რომელსაც პურის ცხობა ეხერხება. ის კარაქს მისიზ ბენქსისგან სესხულობს ხოლმე, გზაში კი სულ ბარომეტრს ეჯახება, რომელიც დღეს მზესა და ნაზ ბრიზს გვპირდება. ამიტომაცაა, ბარბარა ბენქსი მეჩიტუნე ქალის სანახავად და საკენკის საყიდლად რომ მიჰყავთ.

– დააპურეთ ჩიტები, ერთი ტომსიკა ორ პენსად! – ამბობს გულკეთილი ქალი.

ჩიტები საკენკს კენკავენ და ულურტულებენ:

– რა საუცხოო ნადიმი გვაქვს!

მალე ბარბარა დასაძინებლად დაწვება, მეჩიტუნე ქალი კი ჩიტებს ირგვლივ შემოიკრებს. ისინი შავი, ფართო ქვედაბოლოს ქვეშ შეუძვრებიან, ქუდზე დაასხდებიან, მის ვეებერთელა ჯიბეებსა და ჩექმებშიც კი დაიბუდებენ.

– მშვიდად იძინეთ, ჩემო ჩიტუნებო! – გაისმება მეჩიტუნე ქალის ხმა.

ჩიტები მასთან მზის ამოსვლამდე დარჩებიან.

